# სახალხო გაზეთი

№ 430 პარასკევი, 21 ოქტომბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 430

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. ჩვენი ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარე განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომაში"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ ხავაჭრო ხახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ხასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: ... ტელებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 ლკინობისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 2 მან. 40 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ხასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

---

დ. ყვირილაში

„ორიანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად


---

შაბათს, 22 ღვინობისთვეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდაცვალების მეორმოცე დღეს დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**იასონ ივანეს ძე ნათაძისა,**

რასაც აცნობებს ნათესავთ და ნაცნობთ ქვრივი მიცვალებულისა მარიამ დიმიტრის ასული შვილებითურთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, წირვის შემდეგ პანაშვიდი. (1—887—1)

---


ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

**შაბათს, 22 ოქტომბერს,**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ ნ. დავითაშვილისა და ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგ. იქნება

**მსხვერპლი**, დრამა 3 მოქმედებ. ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მარ. გოგოლაშვილი, ნ. დავითაშვილი, ნებიერიძე, ჩერქეზიშვილი, ე. ციმაკურიძე, ეკ. წუწუნავა; ბ-ნნი: ანაშვილი, ბიაშვილი, ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ბ. მდივანი, ა. მეფრეველი, მეტეხელი, იაშვილი, გულაშელი, ნარი, ნინიძე, რეგაზოვი, ხალაყაია, ზვანელი, შანშიაშვილი, გ. შავლამე, ფრონისპირელი, ჭამკვეტაძე, გ. ზაზანაშვილი, ჭიაურელი, ჩიქოვანი და სხვ.

ბილეთ. იყიდება თეატრ. კასაში დილ. 12—2 ს. 6—8 ს. საღ. შემდეგი წარ. 30 ოქტ. დასაწყ. სად. 8 ს. ადმინ. ან. ჭიაბერაშვილი, რეჟის. ალ. წუწუნავა. (2.1497.1.

---

ტელეფ., N 795. **ახალი კლუბი** ტელეფ., N 795.

ყოველ დღე უკრავს **საკონცერტო სიმფონიური ორკესტრი** 30 კაცისაგან შემდგარი ს. ი. პრეისმანის ლოტბარობით. (3—1514—2

---

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—156

---

**თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში**

აცხადებს, რომ იგი შეუდგა ბ-ნ კიტა აბაშიძის თხზულებათა „ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურის შესახებ" ბეჭდვას. თხზულება გამოიცემა ორ ტომად, იგი შეიცავს კრიტიკულ განხილვას შემდეგ მწერალთა ნაწარმოებისას. ალექ. ჭავჭავაძისა, გრიგ. ორბელიანისა, ნიკ. ბარათაშვილისა, ვახტ. ორბელიანისა, გიორ. ერისთავისა ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ალექ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას,.

ხელის მოწერა მიიღება 15 ნოემბრამდი ქუთაისში — თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ ისიდორე კვიცარიძის ჟურნალ გაზეთების კანტორა «იმერეთია»-ში და ტფილისში—წერა-კითხ. გამავრ. საზოგ. წიგ. მაღაზიაში ბ-ნ ივანე ავალიშვილთან.

ხელის-მოწერით პირველი ტომის ფასი ორი აბაზია. (15—1539—7

---

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვისა დ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^1/_2$—11 ს.

დადიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ.,

მზარეულიშვილი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—$1^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოდოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდადოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სს. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც., კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (წ.—1089 - 589)

---

იაფად და საუკეთესო დასაგები

**ლიბავის ლინოლეუმი**

ჰრობკის მანუფაქტურის სააქციონერო ამხანაგობა

**ფიკანდერის და ლარსონისა.**

**ტფილისის განყოფილება და საწყობი.**

გოლოვინის პროსპექტი, № 9, ტელეფონი № 490. (7.1535.1)

---

**ექიმი მედიცინისა წამლობა ჭლექისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინი. შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. (100—1534—9)

---

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაზაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოდოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით.** (წო.—1090—193)

---

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

---

დოქტორი მედიცინისა

**ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—24)

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

---

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

---

**ექიმი ე. ი. მინასიანცი.** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

მლისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—30)

---

**ექიმი ნ. ტ. მულინი** ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—4)

---

**ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი** შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—54

---

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—29)

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2— ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N სახლი გაბაშვილისა.

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

---

**ექიმი ი. გაზაძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (—18)

---

კარგ ქართულ ოჯახში

**იღებენ მოწაფეებს**

სრული ხარჯით: ჭამა-სმით, ცალკე ოთახით, განათება-გათბობით და სხვა. მისამართი გუნიბის ქუჩა (ვერაზე) № 25. (10—2)


---

## ტფილისი, 21 ოქტომბერი

**მენშიკოვის ღერიში.**

რუსეთის პრესა, განურჩევლად მიმართულებისა, სცდილობს გამოარკვიოს, რა გზას დაადგება მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარე — კოკოვცევი. ამ უკანასკნელის პოლიტიკურ პროგრამაზე გარკვეულ და გადაწყვეტილ აზრის შედგენა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგანაც მასალა არ არის. კოკოვცევს თავისი პოლიტიკური მრწამსი საკანონმდებლო დაწესებულებათა წინაშე ჯერ არ გამოუთქვამს, საქმითაც ჯერ ისეთი არაფერი გაუკეთებია, რაც მასალას იძლეოდეს მის დასახასიათებლად მიუხედავად ამისა, გაზეთები სცდილობენ შეაფასონ ის მცირედი მასალა მაინც, რომელსაც დღევანდელი გამოურკვეველი მდგომარეობა იძლევა. კადეტების ორგანო „რეჩი" ირწმუნება, ნაციონალურ უკიდურესობის ადგილს მშვიდობიანი, ფინანსიურ-ეკონომიური პოლიტიკა დაიჭერს, თუმცა ახალი პრემიერი მალე იძულებული გახდება ძირითად პოლიტიკურ საკითხებსაც შეეხოსო. კოკოვცევსა ჰსურს შეასუსტოს სიმწვავე ამ საკითხებისა, მაგრამ სინამდვილეს იგი ვერსად წაუვაო.

კოკოვცევის დახასიათებას „ნოვოე ვრემია"-ს პუბლიცისტი მენშიკოვიც სცდილობს. მენშიკოვი ჰგრძნობს, რომ გარემოება შეიცვალა. კოკოვცევმა კიდეც რომ სთქვას, სტოლიპინის პოლიტიკას არ გადაუხვევ, მაინც ვერ დავიჯერებ, რადგანაც სტოლიპინი კოკოვცევი არ იყო, და არც კოკოვცევია სტოლიპინიო, ამბობს მენშიკოვი. ეს პუბლიცისტი, რომელიც ებრაელების დახასიათებაში ზომიერების ყოველ-გვარ საზღვრებს გადასცილდება ხოლმე, მინისტრების დახასიათების დროს მეტს სიფრთხილეს იჩენს. მიუხედავად ამისა, ნათლადა სჩანს, რომ კოკოვცევის დანიშვნას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ იგი არ თანაუგრძნობს. უპირველესად ყოვლისა მენშიკოვს არ მოსწონს ის, რომ კოკოვცევმა თავიდანვე მქუხარე ნაციონალისტურ დეკლარაციით არ მიმართა საზოგადოებას და არ გამოიჩინა ის იმპულსივობა, რომელიც ყველაზე ნაკლებ სახელმწიფო მოღვაწეს შეჰფერის. ამ სიჩუმეს ნაციონალისტების ლიდერი პასივში უთვლის ახალს პრემიერს.

არის კიდევ რამდენიმე საქმე, რომელიც კოკოვცოვს მემარცხენეობის ბეჭედს ასვამს; რასაკვირველია, მენშიკოვის აზრით. პირველი მომაკვდინებელი" ცოდვა კოკოვცევისა იმაში მდგომარეობს, რომ კიევში ებრაელთა აწიოკების ნება არ მისცა რუსის „პატრიოტებს". ეს იყო კოკოვცევის პირველი „საქმე", რომელშიაც მთელი მისი სულიერი თვისება გამოიხატაო, ამბობს მენშიკოვი. ვინ იცის, სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ისეთი, რომელსაც გულის სიღრმეში ჩასწვდა სტოლიპინის მოკვლა, იქნება თავის დროზე ვერც კი მოეფიქრა და ისეთი საჩქარო ზომები ვერ მიეღო ებრაელების დასაცველადაო. ამით მენშიკოვს ჰსურს დაამტკიცოს, რომ სტოლიპინის სიკვდილს მაინც და მაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია კოკოვცევზე. კოკოვცევს უდიდესმა უზრდელობამაც კი არ დაავიწყა, რომ მთავრობის უმაღლესი წარმომადგენელია, იმ მთავრობისა, რომელიც მუდამ წესიერების დაცვაზე ლაპარაკობს, და ეს გარემოება მენშიკოვმა მას პასივში ჩაუწერა. გამოდის, რომ კოკოვცევი აღშფოთებულ გრძნობებს უნდა აჰყოლოდა და მცხოვრებთა ერთი ნაწილის დასაცველად არავითარი ზომები არ უნდა მიეღო. ალბად ეს თუ იქნებოდა მენშიკოვის აზრით ნაციონალისტურ პოლიტიკის განხორციელება?

მაგრამ კოკოვცევს მარტო ეს მომაკვდინებელი ცოდვა არ ჩაუდენია. პორტუგალიაში რესპუბლიკანური წეს-წყობილება დამყარდა. ჩვეულებრივად ყოველ ცვლილებას შინაურ წეს-წყობილებაში დიდი სახელმწიფონი ადასტურებენ ხოლმე. პორტუგალიაში რესპუბლიკანურ წესწყობილების შემოღება ყველა სახელმწიფოებმა ფაქტად აღიარეს და მიიღეს. რუსეთი დიდი ხანი აგვიანებდა, თუმცა ამ დაგვიანებას ეკონომიურად ვნება მოჰქონდა პორტუგალიიდან შუამდგომლობაც კი აღძრეს რუსეთის წინაშე, ჩქარა დაადასტურეთ პორტუგალიის რესპუბლიკა, თორემ რუსეთის სავაჭრო ინტერესებს საფრთხე მოელისო. ბოლოს რუსეთიც სხვა სახელმწიფოებს შეუერთდა. ესეც პასივში ჩაუთვალა მენშიკოვმა კოკოვცევს.

ყველა ამის შემდეგ „ნოვოე ვრემია"-ს სწორუპოვარ პუბლიცისტს ეჭვი ებადება, რომ კოკოვცევს „ინოროდცების" გულის მოგებას ეცდება. დასკვნა, როგორც ხედავთ, სრულიად მოულოდნელია იმისთვის, ვისაც ცოტაოდენი წარმოდგენა მაინცა აქვს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობაზე, მაგრამ ფანტაზია მენშიკოვისა სად არ აღმოაჩენს რუსების მტრებს? თუ კი კოკოვცევსაც „ინოროდცების" მოსარჩლედ გამოიყვანს, სხვებზე რაღა ითქმის?

## სომხური პრესა

გაზ. „მშაკის" 229-ში ბ-ნი არაქელიანი საქალაქო არჩევნების შესახებ დაწერილ წერილის გაგრძელებაში ამბობს.

„ჩვენ განვაცხადეთ, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების დროს სრულებით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ ნაციონალურ ლოზუნგით. დასაპირდაპირებლად ჩვენ გვეტყვიან, მაშ რა ვქნათ, ერთ ქალაქში რომელიმე ეროვნული ელემენტია გამეფებული, რომელიც თავის წრიდან ირჩევს ხმოსნებს და სხვა ეროვნულ ელემენტებს საშუალება ერთმევა საქალაქო თვითმმართველობაში მონაწილეობა მიიღოს. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ. თუ რომელიმე ქალაქში რომელიმე ელემენტი, სომეხი, ქართველი ანუ თათარი მეფობს საქალაქო არჩევნების დროს, ამაში დამნაშავეა საქალაქო კანონდებულება, რომლის მიერ დაარსებული განსაზღვრული ქონებრივი ცენზი უპირატესობას აძლევს ამა თუ იმ ელემენტს. საჭიროა ვეცადოთ, საჭიროა შუამდგომლობა აღვძრათ, რათა საქალაქო კანონდებულებამ მას ხალხის ყველა ელემენტებს უფლება მიანიჭოს არჩევნებში მონაწილეობისა; საჭიროა მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში არა მარტო სახლის პატრონებმა, არამედ მონაწილეობის უფლება მიეცეთ სახლის დამქირავებლებს, ხელოსნებს, მშრომელ ხალხს და სხვა.

როდესაც ვინმე ეროვნულ ლოზუნგით ხელმძღვანელობს, როდესაც დაბეჯითებით ამბობს, რომ საბჭოში უსათუოდ ყველა ერებს, ტომებს, სარწმუნოებებს უნდა ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები, ამ შემთხვევაში არავის შეუძლიან ამოირჩიოს გაბედვით იმისთანა პირები, რომელნიც ხელსაყრელნი და ღირსეულნი იქნებიან ხმოსნობისათვის და ქალაქის ეკონომიურ საქმეებს გაუძღვებიან.

დაე არჩეულ იყვნენ სომეხი, რუსი, ქართველი, თათარი, ებრაელი, მხოლოდ არჩეულ იყვნენ არა თუ იმისთვის, რომ იგინი სომხები, ქართველები, რუსები არიან, არამედ იმისთვის, რომ შეძლება და ნიჭი აქვთ, საქალაქო საქმეებს გაუძღვნენ, შეუძლიანთ უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენონ ქალაქი და ქალაქის მცხოვრებთათვის მართალ მამებად შეიქმნენ, განსაკუთრებით ღარიბ მცხოვრებთათვის; მათთვის მოამზადონ ჰიგიენური, სუფთა, იაფფასიანი სახლები, სუფთა ჰაერი, სუფთა ქუჩები, დაარსონ სკოლები, სამკურნალო-საავადმყოფოები და მიაწოდონ იაფფასად სალისაკვები და სხვა.

ბაქოში ამომრჩეველთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ თათრები, ვინაი-

დან ის ცენზი, რომელიც მოითხოვს კანონდებულება, იმათ აქვთ ყველაზე მეტი; მაგრამ თათრებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და იხელმძღვანელეს ეროვნულ პრინციპით; აირჩიეს ხმოსნებათ არა თუ საქმისათვის სასარგებლო და ვარგისი მოქალაქენი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, არამედ განსაკუთრებით თათრები.

ამისათვისაც ბაქოს საბჭოს ხმოსნების ზნეობრივი და გონებრივი მხარე ძრიელ დაქვეითებულია, დაცემულია, და საქალაქო თვითმართველობის საქმეც უკან-უკან წავიდა. აი ის არის იმის მეზეზი, რომ კავკასიის ნამესტნიკმა აღადგინა საქალაქო კანონ-დებულების წინანდელი მოთხოვნილება. მაგრამ თუ თათრები არ იხელმძღვანელებდნენ რასიულ პრინციპით და ქალაქის ინტერესებს გაითვალისწინებდნენ, იგი ამოირჩევდნენ ხმოსნად სასარგებლო პირებს, რომელ ეროვნებისა და სარწმუნოებისაც უნდა ყოფილიყვნენ, მაშინ საქალაქო თვითმმართველობის საქმეც არ დაზარალდებოდა.

მაშასადამე, შორს ეროვნული ლოზუნგი ხმოსნების არჩევის დროს".

ამ სიტყვებით ათავებს ბ-ნი არაქელიანი თავის მეორე და უკანასკნელ მეთაურ წერილს ამ საგნის შესახებ.

ნაციონალურ პრინციპს „მშაკი" საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციას უპირისპირებს. ამ დემოკრატიზაციის წინააღმდეგი არავინ არის. პირიქით, ჩვენ ყოველთვის იმის მოსურნე ვყოფილვართ, რომ ფართო გზა მიეცეს ქალაქის ყველა მცხოვრებთ, რომელნიც შეძლებულთა მეტად თუ არა ნაკლებ არ არიან დაინტერესებულნი, რომ ქალაქის მეურნეობა ნორმალურად სწარმოებდეს და მატერიალური სიკეთენი ყველა მცხოვრებთათვის თანასწორად ნაწილდებოდეს. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავტოვოთ ის მოვლენა, რომ ცენზიანი ამომრჩეველნი სარგებლობენ დღევანდელ უპირატესობით და თავის განსაკუთრებულ პოლიტიკას აწარმოებენ. „მშაკს" არ მოსწონს, რომ ბაქოში მაჰმადიანებმა უკიდურესობა გამოიჩინეს და ხმოსნებად სულ მაჰმადიანები აირჩიეს. მოსაწონი საქმე არ არის, მაგრამ სომხებიც ხომ ტფილისში ამას სჩადიოდნენ სისტემატიურად ქართველების მიმართ. მართალია დღევანდელი საარჩევნო სისტემა უპირატესობას აძლევს სომხებს, როგორც ქონებრივად უფრო შეძლებულ ხალხს, მაგრამ განა მოსაწონია, რომ სომხები ამ უპირატესობით სარგებლობდნენ და ქართველებს გზას აძლევდნენ? მოსაწონი არ არის, და თუ „მშაკი" ბაქოს თათრებსა ჰკიცხავს, ტფილისის სომხებიც უნდა გაჰკიცხოს, არამც თუ გაჰკიცხოს, თუ გულ-წრფელია, უნდა ურჩიოს, რომ უფლებათა ნებაყოფლობითი შეკვეცით კორექტივი შეიტანოს თანამედროვე მახინჯ სისტემაში. ხმოსანთა არჩევნების დროს არასოდეს არ უნდა ვიგულისხმოთ, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნის კანდიდატიო. არც ჩვენ ვამბობთ, რომ არჩეულ იქმნას აუცილებლად ქართველი, იმის და მიუხედავად სასარგებლო იქნება ეს კანდიდატი, თუ უსარგებლო. მაგრამ გვგონია, რომ ქალაქის თვითმმართველობისთვის სასარგებლო კაცები ქართველებშიაც მოიძებნებიან. თუ მიუხედავად ამისა, სომხები ამ სასარგებლო პირებს ქართველებში ვერასოდეს ვერა ხედავდნენ, იძულებულნი ვხდებით ვიფიქროთ, რომ მათ არა სურდათ დაინახოთ; მაშასადამე, მათ ამოძრავებდა არა ქალაქის ინტერესები, არამედ ნაციონალიზმი, ეროვნული უკიდურესობა და სიმპატიები. თუ „მშაკს" გულ-წრფელადა სურს ეროვნულ უთანხმოებას ბოლო მოუღოს ქალაქის თვითმმართველობაში, უპირველესად ყოვლისა თავის თანამემამულეებს უნდა მიმართოს და ურჩიოს, რომ უკიდურესობის გზას თავი დაანებონ და ხანდახან ქართველებშიაც დაინახონ ხოლმე სასარგებლო კაცები.

# სახელმწიფო სათათბირო

**დეპეშები**

**თავ. გოლიცინსკი თავმჯდომარეობს.** ჰკითხულობენ საქმეთა სიას, სხვათა შორის, ვლადიმირის გუბერნიის დეპუტატ დეკანოზ ზნამენსკის დეპუტატობიდან გადადგომის განცხადებას.

განსახილველია მუშათა დაზღვევის კანონ-პროექტის პირველი მუხლი.

**შჩეპკინი.** კადეტები სოც.-დემოკ. მიერ შეტანილ შესწორებას ემხრობიან, კანონ-პროექტი ყველა მუშის უნდა ჰგულისხმობდეს. კადეტებს იმედი არა აქვთ წინადადების გასვლისა, ამიტომ თავისი შესწორება შემოაქვთო.

**ზრედკინი** ადასტურებს, შესწორების დროს სოც.-დემ. პრინციპის ნიადაგზე იდგნენო. პროექტი და კომისიის განმარტება უსაფუძვლოდ მიაჩნია. გერმანიაში ახლა 28 მილიონი მუშა ყოფილა დაზღვეულიო. ეს პროექტი კი გერმანიის პირვანდელ კანონსაც ვერ შეედრებაო.

**კუზნეცოვი** კადეტთა შესწორებაც არ გავა, თუმცა მათ პრინციპი დასთმეს.

**შჩეპკინი** ჩვენ სინამდვილე გვაქვს მხედველობაში და გვინდა ცოტაოდნად მაინც შევუმსუბუქოთ მუშებს მდგომარეობაო.

ყველა მომხსენებელი შესწორების წინააღმდეგია.

პირველ მუხლს კომისიის რედაქციით იღებენ.

**მინისტრთა დღეში გაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.** განსახილველია მეორე მუხლი კანონ-პროექტისა.

**კუზნეცოვი** ს.-დ. სახელით ამ მუხლის გამოტოვებას მოითხოვს, რადგან იგი მუშებს ორ არა თანასწორ ჯგუფად ჰყოფს.

**პეტროვი** მე-3 შრომის ჯგუფის შესწორებას იცავს.

**სტეფანოვი** კ.-დ. აზრს იცავს, რომელიც კომისიის რედაქციას ემხრობა.

**გეგოროვი და კუზნეცოვი** სოც.-დ. აზრს იცავენ.

კენჭის ყრით მეორე მუხლიდან მერვემდე, კომისიის რედაქციით მიიღეს.

მე-8 მუხლი დამზღვევ ამხანაგობას ანთავისუფლებს იმ საზღაურისაგან, რომელიც უბედურ შემთხვევის დროს მუშებს უნდა ეძლეოდეთ.

**შჩეპკინი** მუხლის გამოტოვების მომხრეა. მუხლი მიღებულ იქმნა კომისიის რედაქციით.

**კუზნეცოვი** 9 მუხლის გამოტოვებას თხოულობს. ზოგიერთ შესწორებით მუხლს ღებულობენ.

სათათბირო გადადის დაზღვეულთა უფლება-მოვალეობაზე.

**კუზნეცოვი.** მე-11 მუხლის მოქმედება მუშაობის დროს დაშავებულთა და დაუძლურებულთა ფულის მიცემის თაობაზე, პროფესიულ ავადმყოფებზედაც უნდა ვრცელდებოდეს.

მეთერთმეტე მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

**12** მუხლი ანთავისუფლებს დამზღვევ საზოგადოებას საზღაურ თანხიდან, თუ დაშავებულმა განგებ ჩაიდინა ასეთი რამ, რაიც მას დააუძლურებს.

**კუზნეცოვი, შიდლოვსკი და პეტროვი** მე-3 მუხლის გამორიცხვას თხოულობენ, მაგისთანა საქმეს არავინ ჩაიდენსო.

**მამა მაშკევიჩი** თხოულობს: დამზღვევმა ამხანაგობამ ბოროტ-განზრახვა გამოიძიოს და დაასაბუთოს.

ეს მუხლი მაშკევიჩის შესწორებით მიიღეს.

მიღებულ იქმნა **13, 14** და **15** მუხლი. მეთექვსმეტე მუხლი პირველ ხანში დაშავებულის უფასო წამლობას თხოულობს და საამისო ხარჯს საავადმყოფოს კასას აკისრებს.

**ზრედკინი** წინააღმდეგია, მაგით მუშების მდგომარეობას აუარესებთო და თხოულობს, ეს ხარჯი დამზღვევ ამხანაგობას დაეკისროსო.

**16, 17—22** მუხლი შეუსწორებლად მიიღეს.

**23** მუხლი მუშათა სამსახურში ყოფნის ვადას ეხება, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ ფულის გაცემის რაოდენობას განსაზღვრავს.

ეს მუხლიც შეუსწორებლივ მიიღეს.

კანონ-პროექტის განხილვა ხვალისთვის გადაიდო. გამოაცხადეს **44** წევრისაგან ხელმოწერილი მიმართვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი, მოუსავლობით დაზარალებულ კაზაკთ, რა დახმარება გაუწიეთო.

**სადამოს სხდომაზე კაპუსტინი თავმჯდომარეობს.**

განსახილველია მთავრობის განმარტება და პასუხი იმ შეკითხვისა, რომელიც შეიტანეს იმის გამო, რომ პეტერბურგის ქალაქის უფროსმა პრესას აუკრძალა, არაფერი დასწეროთ ხოლმე უმაღლეს სასწავლებლებში მომხდარ არეულობაზე.

**მომხსენებელი ბობრინსკი** მე-2. კომისიის აზრი მთავრობის განმარტების შემდეგ არ შეცვლილაო.

**გეგეჩკორი.** იმ ქვეყანაში, სადაც საზოგადო-პოლიტიკური ცხოვრება იხლდება, თავისუფალი პრესა ვერ იარსებებს. რუსეთის კონსტიტუციის ხუთი წლის თავზე **1270** ჟურნალ-გაზეთი არის შეჩერებული, **1058** ჯარიმა დადებული. ხაზინის ამ ჯარიმებით ერთი მილიონი შემოსავალი ჰქონია. კონსტიტუციამდე, ორმოცი წლის წინად, დროგამოშვებითი გამოცემა სულ **815** იყო. აი, რა მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი პრესა, ეს—საზოგადო ცხოვრების უმთავრესი ფაქტორი. კონსტიტუციის ხანში საზოგადო ცხოვრების მთელ მიმართულებათ, რომელთა აზრის გამომხატველნიც უკიდურეს მემარცხენეთა ფრაქციებია, თავისი ბეჭდვითი ორგანო არა აქვთ, რადგან გაზეთს უკეტავენ, რედაქტორებს შორეულ ქვეყნებში ჰგზავნიან, ან აძევებენო. ეს საზოგადო ჯგუფები ჯურღმულში სხედან. იქ არაჩვეულებრივად მწვავდება ინტერესები, რომლის მოსარჩლეობა შეეძლოთ საზოგადო ასპარეზზედაც. მოლაპარაკე დაწვრილებით ეხება კავკასიაში პრესის მდგომარეობას და აღნიშნავს, იქ პრესა დიდი ბრძოლის შემდეგ დამარცხდა, აღარ არსებობს, მოკლულია, მეშვიდე სახელმწიფოს კი არ ემსგავსება, არამედ უძლურებას (მემარცხენეთა ტაში).

**მილიუკოვი** პრესის დანაშაულობათა გამოყოფას ეხება და ამბობს, ეს დანაშაულებანი მაშინ უფრო ძლიერდება, როდესაც სავალდებულო დადგენილებანი მრავლდება. მოლაპარაკეს განსვენებულ სტოლიპინის სიტყვები მოჰყავს: „უნდა გახსოვდეთ, რომ მთავრობის ყოველი შეცდომა რევოლუციის გაღვიძებას ემსახურება და ამისთანა შეცდომად მიმაჩნია მთავრობის ის მოქმედება, რომელიც კანონს ეწინააღმდეგებაო".

კამათი დასრულდა.

სათათბირომ **2** ხმის წინააღმდეგ ოქტომბრისტთა ფორმულა მიიღო. კერძო (მიმართვა?) სტამბათა ზედამხედველობის ინსპექტორისა, არ ეთანხმება თანამდებობის პირთა რედაქციებთან წარმოებულ წესებს და ზემოხსენებულ თხოვნას გადამეტებული ხასიათი ჰქონდა და იგი კანონზე არ ემყარება. ამის გამო მთავრობის განმარტება სათათბიროს ვერ აკმაყოფილებს.

განსახილველია შეკითხვა ოდესის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების თაობაზე, ნოვოროსის უნივერსიტეტში **1910** წელს მომხდარ უწესობების დროს.

**მომხსენებელი დუგი.** შეკითხვა ბრალს არავისა სდებს, არამედ გამოძიების შედეგის გამოქვეყნებით სტუდენტთა წრესა და საზოგადოებაში დამშვიდების შეტანა ჰსურს.

კომისია ასეთ შეკითხვის მიღებას თხოულობს: „იცის, თუ არა მთავრობამ, რომ **1910** წლის **8** დეკემბერს ნოვოროსიის უნივერსიტეტში სტუდენტებმა მთავრობის ნებადაურთველად მრავალრიცხოვანი კრება გამართეს, სადაც სტუდენტმა-აკადემისტებმა, სხვათა შორის, შპაკოვსკიმ და ჩარტორიისკიმ სროლა ასტეხეს, რის შედეგიც სტუდენტ იგლიცკის დაჭრა იყო და უნივერსიტეტის მთავრობამ კი კანონიერი ზომები არ მიიღო ყრილობის ჩასაშლელადაო. იცის თუ არა, რომ უნივერსიტეტმა და ადმინისტრაციამ ზემოხსენებულ სტუდენტის დასასჯელად საჭირო ზომები არ მიიღეს, რის გამოც არეულობის გამოძიება ძალიან გაძნელდა. მიღებულია თუ არა საქმის ყოველმხრივ გამოსაძიებლად და დამნაშავეთა აღმოსაჩენად ზომები?"

**ნიკოლსკი** ერთ საათს ლაპარაკობს და აღნიშნავს: ქიმიური ობსტრუქცია რომ იქნებოდა უნივერსიტეტში პოლიციამ რამდენიმე დღის წინად იცოდა, მაგრამ ზომები არ მიუღია. ამიტომ სტუდენტების აწიოკება მისი ბრალია. ნოვოროსიის უნივერსიტეტის მთავარ ამშენებლისაგან ხელწერილი საბუთი მაქვს, სადაც სწერია, ნოემბრის ბოლოს უნივერსიტეტში პოლიცმეისტრისაგან გამოგზავნილი პაკეტი მოიტანეს. რომელშიაც **10** რევოლვერი იყოო. მოლაპარაკე ამ ამბავს იმ გარემოებას უკავშირებს, რომ არეულობის დროს აუდიტორიაში **15** რევოლვერიანი აკადემისტი სტუდენტი აღმოჩნდა. ბოლოს ნიკოლსკი ცხრა მუხლად ჰყოფს შეკითხვას და მის მიღებას თხოულობს.

შემდეგი სხდომა ხუთშაბათს მოხდება.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **ქალაქის თვითმართველობის უკანასკნელმა კრებამ** გადასწყვიტა, ახლავე შეუდგეს მზადებას მისთვის, რომ **1912** წლის **1** იანვრიდან შესაძლებელი შეიქმნეს უძრავ ქონებაზე ახლად შეფასების მიხედვით გაეწეროს გადასახადი.

✦ **მართლმადიდებელ ქრისტიანთა სასაფლაოების ხამზრუნველოება** ძლიერ მუყაითობას იჩენენ, და ერთხელ ნაყიდ საფლავებზე მცხოვრებთ ხელმეორედ ახდევინებენ სასყიდელს. რამდენიმე სასაფლაო ქალაქის გამგეობამ წინად მიიღო. ცხლა, სხვათა შორის, ქალაქის გამგეობის ბუჰგალტერიაში მოსამსახურე გ. ხახანიშვილსაც მიუღია. სამზრუნველომ წერილი მომწერა ეხლავე გადაიხადეთ ფული ან კვიტანცია წარმოგვიდგინეთ, თორემ მოაჯირს მოვარღვევთო. იმ დროს, როცა საფლავი რამდენიმე წლის წინად უყიდიათ, მამაპაპეულია და უბრალო კვიტანციის ქაღალდის მოძებნა შეუძლებელიაო.

✦ **21 ოქტომბერს საბჭოს სარევიზიო კომისია შეამოწმებს ქალაქის საელექტრონო სადგურის შენების საქმეს.**

✦ **ქალაქის** თვითმართველობამ მოხსენება უნდა შეიტანოს საბჭოში მიხეილის სახელობის სასწავლებლისთვის **850** მანეთის გადადების თაობაზე, რომელიც მას პეტერბურგში გასამართავ სამრეწველო-სატეხნიკო გამოფენაში მონაწილეობისთვის სჭირდება.

✦ **პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო იუწყება:** ზუგდიდში ძმათა ხუბულავათ შეიარაღებული ბრბო შეადგინეს, ფულსა სტყუებდნენ და შიშში ჰყავდათ სოფ. ხიბულას მცხოვრებნი. ბოქაულმა ეზბაიამ ხანგრძლივ სროლის შემდეგ ბრბო შეიპყრო.

✦ **ჩვენი გაზეთის მე-426** ნომერში, ქუთაისის ახალ ამბავში ცნობა გვქონდა რომ ბ-ნი **იასონ გელოვანი,** ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით შეიპყრეს. ეს ცნობა მართალი არ გამოდგა.

✦ **მეუღლეთა ანტონოვების სტიპენდიები.** გუშინწინ, **19** ოქტომბერს, ტფილისის გუბერნიის თავ.-აზნ. წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულომ გაანაწილა წმ. ნინოს ტფილისის ქალთა სასწავლებელში არსებული სტიპენდიები გასვენებულ მეუღლეთა ანტონოვებისა. გასანაწილებელი იყო ორი თავისუფალი სტიპენდია. საკრებულოს დადგენილებით სტიპენდიები დაენიშნა იმავე სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფეს **ნინო დაფქვიაშვილს** და მეშვიდე კლას. მოწ. **მარიამ ხირხელს.**

✦ **ქალაქის მოურავმა ტფილისის გუბერნატორს აცნობა,** რომ ქალაქის გამგეობამ სპეციალურ ბაზრებისათვის და იარმუკებისათვის განსაკუთრებული ადგილები დანიშნა და შეიტანა კიდეც ბაზრებში წესიერების დასაცველ სავალდებულო დადგენილების მუხლებში. მაგრამ ეს ადგილები და განსაკუთრებით შუა ბაზარი, რომელიც თითქმის ტფილისის ვაჭრობის ცენტრია,

# ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება

**(საზოგადო კრების მოხსენება)**

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა პირველი დამფუძნებელი კრება მოხდა მარტის შუა რიცხვებში. ამ კრებაზე ამოირჩიეს საზოგადოების საპატიო წევრად ი. ი. წინამძღვრიშვილი; საბჭოს წევრნი და მათი კანდიდატნი; საბჭოს წევრებად: თავმჯდომარედ თავ დ. ე. ჩოლოყაშვილი, მის ამხანაგად თავ. ს. რ. ვახვახიშვილი; ვ. ი. რცხილაძე, ს. თ. ხუნდაძე, გ. ზ. ქურდიანი, ს. ნ. ყაზახაშვილი, ი. კ. ქუთათელაძე, თავ. პ. მ. ლორთქიფანიძე, დ. ე. ნახუცრიშვილი, ვ. ო. იოსელიანი და თავ. დ. ვ. ვაჩნაძე.

კანდიდატებად: გ. ბ. გვაზავა, ი. ს. ვაწაძე, ე. მ. ხრამელაშვილი, ფ. ი. ტყავაძე, თავ, მ. ე. მაღალაშვილი, გ. ი. თოიძე.

პირველი მორიგი კრება ახლად არჩეულ საბჭოსი 24 მარტს მოხდა; საბჭომ შეატყობინა ადგილობრივ გუბერნატორს და მიწადმოქმედების დეპარტამენტს, რომ საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება, აირჩია დროებით მდივნად ე. ო. იოსელიანი და ხაზინადრად თავ. პ. მ. ლორთქიფანიძე; დაადგინა, შეიკრიბოს ხოლმე ყოველ ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე, საიმპერატორო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, აირჩია სამგნებო კომისია, რომელსაც დაავალა საზოგადოების მოქმედების გეგმის შემუშავება.

ამ კომისიას საბჭომ გამოურკვია სახელმძღვანელო დირექტივები საზოგადოების მომავალ მოქმედების შესადგენად. ამ დირექტივებით ამლეჭურვილმა კომისიამ ივნისის ბოლო რიცხვებში წარუდგინა საბჭოს მოხსენება: „ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოქმედების პრაქტიკული გეგმა".

ეს მოხსენება საბჭომ განიხილა და მცირეოდენის ცვლილებით დაამტკიცა სხდომებზე. ენკენისთვის 21-22-ის კრებაზე. ამ მოხსენებაში აღნუსხულია ჩვენი სოფლის მეურნეობის ის საჭიროებანი, რომელთა მოვლაც საზოგადოებას შეუძლიან თავის წევრების ძალით, და მათი დაკმაყოფილების ის ღონისძიებანი, რომელიც საზოგადოებას მიაჩნია საჭიროდ და საუკეთესოდ.

ამის გარდა საბჭოს მოქმედება გამოიხატა შემდეგში:

1) ტფილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო კომისიის მიერ მონდობილ საკითხების გამორკვევა, 2) გორის მეხილეთა ამხანაგობის დაარსების ცდა, 3) გამომცემლობა 4) საკუთარ ბიბლიოთეკის შედგენა, 5) საზოგადოებისადმი მიმართულ თხოვნების განხილვა, 6) დათვალიერება საყურადღებო მეურნეობათა 7) რაჭის ინსტრუქტორების მომზადება და 8) აგრონომების მოწვევა.

I. საბჭომ განიხილა საადგილ-მამულო კომისიის მიერ მონდობილი შემდეგი საკითხები:

1) თხოვნა ბ-ნ ტატიშვილისა, რომ მას მიეცეს თავად-აზნაურობისაგან შემწეობა დოლლაურში ამერიკულ ვაზის სანერგის გასატანად.

2) ს. ს. ხეთაგურის თხოვნა, მიეცეს თავად-აზნაურობისაგან სესხად 5000 მან. სოფელ კასპში ხეხილის სანერგის გასაფართოვებლად.

3) შუამდგომლობა „კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოებისა", რომ თავად-აზნაურობამ 500 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს მას აკ. წულაძის წიგნის „ფუტკარი"-ს გამოსაცემად.

4) მერძეობის კურსებზე ორ მსმენელ ქალის გაგზავნას.

5) აზნაურ ეგაძის მამულის გამოყენება.

6) თხოვნა მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვრისა, რომ მას მიეცეს 1000 მან. შემწეობა საფეიქრო სახელოსნოსათვის შენობის ასაგებად.

7) კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის თხოვნა, რომ მას თავადაზნაურობისაგან დახმარება მიეცეს ფილოქსერასთან საბრძოლველად.

8) ყიფიანის მამულის შეძენა.

თვითეულ საკითხის გადაწყვეტას წინ უძღოდა მისი დაწვრილებითი შესწავლა და გამოკვლევა. ზოგიერთ საკითხებზე საბჭოს დამზადებული აქვს განსაკუთრებული მოხსენებანი, მაგ., ეგაძის მამულის შესახებ 2 მოხსენება კომისიებისა: 1) „აგრონომიული პუნქტი სოფ. ქვემო-ქალაში და 2) „ქვემო-ქალის სასწავლებელი და პრაქტიკული სასწავლებელი მუშებისა ამერიკულ ვაზის და ხეხილის სანერგითურთ". მოხსენება ვ. ი. რცხილაძისა „მოტორიანი გუთანი".

ზოგიერთ საკითხის განხილვის დროს, საბჭო არა კმაყოფილდება საადგილ-მამულო კომისიის მიერ წარმოდგენილ მასალით და მთხოვნელთაგან ითხოვდა დამატებითს ცნობებს—მაგ. ს. ს. ხეთაგურისაგან მოითხოვა „დამატებითი ხარჯთაღრიცხვა" მისი სანერგისა და სხვ. საჭიროების დროს, ჰგზავნიდა საგანგებო კომისიებს ამა თუ იმ საკითხის გამოსარკვევად.

2. საბჭომ თავის წრიდან აირჩია და მოიწვია კიდევ რამდენიმე პირი, რომელთაც მიანდო „ქართლის მეხილეთა ამხანაგობის" დაარსება. მაგრამ მეხილეებს უკვე გაეყიდნათ თავისი ხილი და ამხანაგობის მოქმედების დაწყობა გადაიდო მომავალ გაზაფხულამდე.

3. საბჭოს მუშაობისათვის სტატისტიკური მასალა სჭირდება, რომლის მოსაკრებად მან შეამუშავა, დაბეჭდა და დაურიგა „საკითხი ფურცელი" თავის სამ წევრ კორესპონდენტს—გორის მაზრაში თავ. ი. ციციშვილს, და გ. ლ. მაჭარაშვილს და სიღნაღის მაზრაში გ. ლ. დაფქვიაშვილს. გამოსცა „გაფრთხილება" კახელ-მევენახეთა და მემამულეთა საყურადღებოდ, რომელშიაც საბჭო აფრთხილებს მეურნეთ, უცდელ ამერიკული ვაზით არ გააშენონ ვენახები, იხსენიებს საცდელ, პატარა ვენახების გამართვის საჭიროებას და ჰკისრულობს ამ საცდელ-ვენახების ხელმძღვანელობას.

4. საბჭომ მიჰმართა სხვა და სხვა დაწესებულებათ და კერძო პირთ შესაფერისი თხოვნით, რომ მათ დაეთმოთ საზოგადოებისათვის სასოფლო-სამეურნეო წიგნები. მიჰმართა კრებებს—ხარკოვისას, პოლტავისას, ეკატერინოსლავისას და პერმისას; ამათგან წიგნები მიიღო მხოლოდ პირველ 3 ერობისაგან; მიწათ-მოქმედების და მიწათ-მოწყობის მთავარ მართველის კავკასიის რწმუნებულისაგან 15 სახელობის 41 ცალი წიგნი; კერძო პირთაგან: თავმჯდომარე თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილისაგან. „Полная энциклопедія Русскаго сельскаго хозяйства". გამოცემა დევრიენისა და „Атласъ плодовъ" გამოცემა საიმპერატორო მეხილეობის სრულად რუსეთის საზოგადოებისა, ე. ო. ოსელიანისაგან 1 ცალი. ი. ე. ქუთათელაძისაგან 1 ც. ვ. ი. რცხილაძისაგან „მოსავალი" 1909,—1910 წ. და „მოსავლის" რედაქ. ყველა გამოცემანი და სხვ. ამის გარდა საზოგადოებამ იყიდა ზოგიერთი წიგნები. ნაყიდი აქვს ამხანაგ ცალი რუსული წიგნი; მოსდის ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ იტევს იმოდენა ვაჭრობას და ამიტომ უეჭველად საჭიროა ახალი პუნქტების შექმნა. ამ მიზნით ქალაქის გამგეობა შეუდგება ბაზრის მოწყობას მუხრანიანთ ხიდთან ან მადათოვის კუნძულზე. მხოლოდ სანამ ეს საკითხი გადასწყდებოდეს, ქალაქის თავი კვლავ სთხოვს გუბერნატორს, ნება დართოს სოფლელებს პუშკინის ქუჩაზე, ძველ სემინარიის შენობის წინ ივაჭრონ.

◆ **საუწყებათაშორისო თათბირმა ლეიბ მედიკის ბერტენსონის თავმჯდომარეობით**, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი, აბასთუმანის მინერალური წყლების სამხედრო უწყებისაგან ჩამორთმევისა და სამთო უწყების განკარგულებაში გადაცემის საქმე, სხვათა შორის, აღნიშნა სურვილი, რომ აბასთუმანში რაც შეიძლება მალე იქმნას შემოღებული საქალაქო დებულებანი. ამიტომ მიმართა კავკასიის ნამესტნიკს თხოვნით, თუ საწინააღმდეგო არა აქვს რა აბასთუმანში საქალაქო გამგეობა იქმნას შემოღებული. ნამესტნიკის კანცელარიამ კი ტფილისის გუბერნატორს სთხოვა, განკარგულება მოახდინოს ამ საკითხის შესახებ საჭირო ცნობები შეაგროვონ და ნამესტნიკს წარუდგინონ.

◆ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი** მუსელიუსი ბაქოსა და განჯის გუბერნიის საფოსტო დაწესებულებათა რევიზიიდან დღეს დაბრუნდება.

◆ გუშინ **ტფილისის ბირჟაში** დაიწყო საფონდო ოპერაციები.

◆როგორც გავიგეთ, **თამამშევის ქარვასლის** შარტში გადაკეთებას უპირებენ. ეხლანდელი „შკაფჩიკები“ სრულიად აღარ იქნებიან, იმის მაგივრად მაღაზიები გამოიწევა წინ, შიგნით კი შუაზანდი გაუხდილ იქნება და შუაში გასავალს (პასსაჟს) გააკეთებენ.

◆ **ტფ. მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისმა** ტფილისის გუბერნატორს მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულების 7 ოქტომბრის საზოგადო კრებას ოქმი წარუდგინა და თან მოახსენა; რადგანაც ბევრი თხოულობს მდაბიო მოქალაქეთა წოდებაში დაუყოვნებლივ ჩარიცხონ, მამასახლისი ჩარიცხავს მას და შესაფერ მოწმობასაც მისცემს, ვიდრე გუბერნატორი დადგენილებას დაამტკიცებდეს.

◆ **მოსკოვის ქართველმა სტუდენტებმა** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობაში განცხადება გამოგზავნეს, მოსკოვში ლ. ტოლსტოის სახელობის გამოფენა გაიხსნა, რომელზედაც ყველა ენაზეა ლიტერატურა წარმომადგენელი გარდა ქართულისა. ამიტომ სტუდენტები სთხოვენ გამგეობას გამოუგზავნონ ქართული თარგმანები და ლიტერატურა, რაც დაწერილა ტოლსტოის შესახებ ქართულ ენაზე.

◆ **უწმ. სინოდი** შეუდგა ქრისტიანობის შესახებ ცნობების შეკრებას განსაკუთრებით კავკასიაში. ამიტომ სინოდის განკარგულებით ტფილისის სასინოდო კანტორა ამ ჟამად აგროვებს ცნობებს კავკასიაში მართლმადიდებელ მცხოვრებთა შესახებ.

## საზოგადოებანი და კრებები.

◆ კვირას, 30 ოქტომბერს, სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება **წლიური კრება** „განათლების“ საზოგადოებისა, რომელზედაც წლიური ანგარიშებისა გარდა განიხილავენ პროფესიონალურ განყოფილების გეგმას და სახლის შეძენის მოხსენებას.

## სასწავლებლებში

◆ **კავკასის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა** ტფილისის სათ.-აზ. ქართულ გიმნაზიაში—მათემატიკის მასწავლებლად დაამტკიცა პირველ გიმნაზიის მასწავლებელი ალექსანდრე ლუარსაბის ძე ხუციშვილი, გერმანულ ენის მასწავლებლად კი—ავლაბრის გიმნაზიის მასწავლებელი ბერნშტეინი.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსმა ტფ. მეორე საკომერციო სასწავლებლის დირექტორად **ნ. დ. მახათაძე დაამტკიცა.**

## სომეხთა ცხოვრება

◆ **კომპოზიტორის ლისტის** დაბადების 100 წლის თავზე სომხურ ჟურნალის „აგბიურ თარაზის“ რედაქციასთან არსებულ სალიტერატურო-სამხატვრო სალონში დღეს გაიმართება ლისტისა და განსვენებულ სომხის მწერლის მიქაელ ნალბანდიანის სახსოვარი საღამო.

## გორი

◆ მინის ქარხნის დარაჯმა სამხედრო დეზერტი 17 დრაგუნთა ნიჟეგოროდის პოლკის ჯარის კაცი ნიკოლოზ ჟეგანოვი შეიპყრო და პოლიციას გადასცა.

## პროვინცია

◆ **სოფ. ცხვენისი** (გორის მაზრა). 60 წლის გიორგი სახუაძე და მისი 23 წლის შვილი ილია ძველს მარანში ქვევრებსა სთხრიდნენ. უეცრად მარნის ჭერი ჩამოინგრა და მამა-შვილი ქვეშ მოიტანა. მათ ყვირილზე მეზობლებმა მოირბინეს და ენერგიული ზომებით დაშავებულნი ნანგრევებიდან გამოათრიეს, მაგრამ ორივენი გარდაიცვალნენ.

◆ **სოფ. პაწა** (გორის მაზრა). სოფ. ჯავას მცხოვრები კიმიჩ სანაკოევი მიეპარა საბა კხოვრებაშვილს და ხანჯლით მძიმედ დასჭრა.

◆ **სოფ. კარდანახის** მემამულეებმა საადგილ-მამულო კომისიას და გუბერნიის მარშალს მიმართეს, ამერიკულ ვაზის სანერგის გასაშენებლად ს. კარდანახში ფულით დაგვეხმარეთ რადგან კახეთში უკვე გაჩნდა ფილოქსერა და დაღუპვას უქადის კახეთის მევენახეობასაო. საადგილმამულო კომისია პრინციპიალურად თანახმაა დახმარება აღმოუჩინოს კახეთის მემამულეთ განურჩევლად იმისა მემამულე თავად-აზნაურია, თუ გლეხი და ამ საქმის დაწვრილებით გამოკვლევის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მიანდო ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს.

◆ **სოფ. ბლაგერდი** (ბორჩალოს მაზრა). პეტრე ავლასტიმოვმა თავის მეზობელ გიორგი ავლასტიმოვს 13 წლის ქალი ანგელო მოსტაცა და მიიმალა. მის აღმოსაჩენად სოფლელების რაზმი წავიდა.

◆ **სოფ. ვორონცოვკა** (ბორჩალოს მაზრა). კირილლოვის ქარხნის მუშების გამგეს შამილის და მამედ ნაბიევებს ქოხში ღამით შევიდა ცნობილი ყაჩაღი ბაგირი და რვა შეიარაღებული. ბაგირმა რევოლვერით იქვე მოჰკლა შამილი, დანარჩენებმა კი ეზოში მოჰკლეს მისი ძმა მამედი და ამ უკანასკნელის ცოლი მუგდა ქემირ კიზი. მიზეზი შურისძიებაა; 1903 წელს ბაგირმა ერთი მკვლელობა ჩაიდინა და შამილმა გასცა.

**შეცდომის გასწორება.** გუშინ დაბეჭდილ პ. მირიანაშვილის წერილში შემდეგი შეცდომებია:

| დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|
| ძველადვე განთქმულია | ძველადვე გამოთქმულია. |
| წარმოებული იფერი | წარმოებული ივერი. |
| გამოსთქვა იბერად | გამოსთქვა იმერად. |
| ეწოდება ქალდა ხფარა | ეწოდება ქალდა ხვარა. |
| ხფარა ძველი ქართულია | ხვარა ძველი ქართულია. |
| ერთი სახე სიმართლე | ერთი ცახე სიმართლე. |

# გამოვიდა და იყიდება
# არჩილ ჯორჯაძის თხზ.
## მე-4 წ. წერილები ცნობის ფურცელ-მოამბიდან 1901—1902 წ.

**ფასი 85 კაპ.**

პროვინციის აგენტებს ვთხოვთ, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ საკვიტანციო წიგნაკების ყუა და მიღებული ფული რომ წიგნები გავუგზავნოთ დასარიგებლად ხელის მომწერთათვის.

ხელის მომწერლებმა წიგნები უნდა მოიკითხონ იქ, საცა მოაწერეს ხელი. (8—1)

# სასამართლოს დარბაზიდან
## შუა აზიის რკინის გზაზე საფოსტო ვაგონიდან 469,500 მან. გატაცების საქმე.

სასამართლოს სხდომები თან და თან საგულისხმო ხდება ერთ კვირის განმავლობაში ორივე მხარემ დიდი მასალა შეიძინა და ამიტომ სხდომები გამოცოცხლდა. ბრალდებულნიც გამოცოცხლდნენ და თვითონ ჰკითხავდნენ ზოგიერთ მოწმეებს.

საგულისხმოა მოწმე მიტკევიჩის ჩვენება, რომელმაც წარუდგინა სასამართლოს 1906 წლ. დაწყებული 1911 წლ. თავისი დღიური სადაც თითქმის ყველა შემთხვევას ასწერდა. სასამართლომ შეამჩნია, რომ მიტკევიჩი დღიურში ყველაზე ხშირად ერმოლოვის სახელს ახსენებს.

**თავმჯდომარე.** გუშინ რათა სთქვით ყველაფერსა ვწერდიო.

**მიტკევიჩი.** ერმოლოვი და მე გენერალ სლავოჩინსკის მიერ სამართალში ვიყავით მიცემულნი და ამიტომ ვექცევდი მის შეხვედრას განსაკუთრებულ ყურადღებას.

**ნაფ. გქ. თან. გედევანიშვილი.** შეამოწმეთ, რომ დღიურში სხვათა სახელებიც არისო მოხსენებული.

საყურადღებო ჩვენებას იძლევა **რატმისტრი ხუჟეევი**, რომელიც კაპიტან ერმოლოვის საქმის თაობაზე ცნობებსა ჰკრებდა პიატიგორსკში: ზელიმ-ხანის მდევარ რაზმში ვიყავი, როდესაც გავიგე, პიატიგორსკში საეჭვო პირები, საფოსტო ვაგონის გაძარცვაში მონაწილეობის მიმღებნი იმყოფებიანო, ეს ხმა დაადასტურა მედროშე კორიცკიმ და საეჭვონიც დაასახელა: ნიკ. ფირცხალიშვილი, მესხი და კაპ. ერმოლოვი. ხუჟეევმა ვერ დაიჯერა ერმოლოვის ბოროტგამზრახველობა და ახალგაზდა აბდუშელს დაუწყო გამოკითხვა. მან ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი სთქვა, რამაც ერმოლოვის ბოროტგამზრახველთა კავშირის არსებობა დაამტკიცა.

ერთხელაო,—უთქვამს აბდუშელს—ორი ახალგაზდა ქალი და ჩვენ ჩანჩქერთან ვიყავით. იქიდან რომ ვბრუნდებოდით, ნასვამმა ფირცხალაიშვილმა ლაპარაკი დაიწყო, ფოსტა გავძარცვეთ და კაპ. ერმოლოვს 117 ათასი მივაბარეთ შესანახად 25 ათას სასყიდლითაო. იგი ლაპარაკის დროს ახსენებდა: „ჩვენ სიცოცხლე გავწირეთ“, „შეიძლება ახლა ჩამოგვადრჩონ“, „17 ვიყავით“ და სხვ. აბდუშელს უთქვამს, ერმოლოვს, მესხსა და ფირცხალაიშვილს ერთხელ ჩხუბი მოუვიდათ და ასე უთხრესო: „ჩვენ გავძარცვეთ, სიცოცხლეს ვწირავდით ახლა ფული თქვენ უნდა ბიდოთო“?

ჯერ ვყოყმანობდი. ყოყმანობდა ადმინისტრაციაც, მაგრამ როდესაც საიდუმლო პოწერილობა მივიღეთ, მაშინ ერმოლოვის ბინა გავჩხრიკე და ფირცხალაიშვილისაგან გამოგზავნილი 4 დეპეშა ვუპოვნეთ. აზოვ-დონის ბანკის პიატიგორსკის განყოფილებაში გავიგე, კაპიტან ერმოლოვს 50 ათასი მანეთი აქვსო შემოტანილი. გამოკითხვის დროს ერმოლოვი ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს.

**თავმჯდომარე:** მაშინვე ჩამოართვით ჩვენება ერმოლოვს?

**ხუჟეევი:** არა. მთხოვა, დამიცადეთ ავად ვარო. ბევრჯერ გამოვკითხე და ყოველთვის ჩვენებას ურევდა, სწორე პასუხს ვერ იძლეოდა. ჯერ ამბობდა—ოზურგეთში მოვაგროვე ეგ ფულიო, მერე—ტოლმაჩევის ცოლისაგან მივიღეო, შემდეგ—„ნოვოროსიის რესპუბლიკის“ საქმეში 8 რევოლუციონერი გადავარჩინე და მათ მომცესო. ბოლოს სთქვა—ხაფთასისაგან ვისესხეო.

**თავმჯდომარე.** ოთხმეზურის და ფირცხალაიშვილის ხელით მოწერილი ბარათები არ უჩვენებია თქვენთვის?

**ხუჟეევი.** არა. ბევრი ქაღალდები მომცა, მაგრამ საქმისათვის მნიშვნელობა სრულიად არა აქვთ. ზოგიერთი მთავრობის განკარგულებანიც კი გადმომცა.

ამ ჩვენებამ ერმოლოვი მოთმინებიდან გამოიყვანა. მან ჰკითხა მოწმეს:

—ჩემთვის ტოლმაჩევთან ქალის შოვნა ხომ არ გითხოვნია?

**ხუჟეევი.** მართალია. მაგრამ ჩემმა აზრმა, მოვალეობამ ნება არ მომცა აგრე მექნა.

**ერმოლოვი.** მოწმევ, სამსახურიდან ხომ არ გადაუყენებიხართ მაშინ?

**ხუჟეევი.** თხოვნა მივართვი, მაგრამ პასუხი არ მიმიღია.

სხდომა ნახევარ საათით შესწყვიტეს. სხდომის განახლებისას აბდუშელი ლაპარაკობს. კორიცკიმ ჩამი ორია მაგ საქმეში, დამღუპაო. წინად რაცა ვთქვი, მართალია, მხოლოდ ფირცხალაიშვილს გაძარცვის მონაწილეთა სახელები არ უთქვამსო.

**ბრალდებული** თითონ ერმოლოვმა გვიამბო თავისი უთანხმოება ოთხმეზურთან.

**კაპ. ერმოლოვი:** ჩემთან სტუდ. ფირცხალაიშვილი მოვიდა და მადლობა გადამიხადა „ნოვოროსს. რესპუბლიკის“ საქმისაგან გადარჩენისთვის. მთხოვა „გურიის რესპუბლიკის“ საქმე ეცადე, ტფილისიდან ოდესაში გადაიტანეთო მე ხომ ყველაფერი შემიძლიან ეგენი ჩემს ხელში არიან.

**თავმჯდომ.** საქმეზე ილაპარაკეთ.

დამტკიცებულია, რომ ოთხმეზურსა და მის ნათესავებს ტფილისის ბანკში დიდ ძალი ფული შეუტანიათ ერმოლოვს ჰკითხეს. თქვენ საიდან იცით ეს ამბავიო. „საქმიდანაო“—უპასუხა მან. ჩხუბი იმიტომ მომივიდა, რომ 50 ათასი ხაფთასის ცოლს დროზე ვერ მივეცი, უპირობა მისაყვედურეს და ამიტომ ერთს ქალს მივეცი 50 ათასი მანეთი, მაგიერად ვექსილები გამოვართვიო.

**ხაფთასი** ერმოლოვს 50 ათასს ვერ ვასესხებდი, მან დასახურდავებლად გამომართვა ეგ ფულიო.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**
19 ოქტომბერი.

**რომი** მეფემ ომში დაჭრილთა ოჯახებს 100 ათასი ლირი შესწირა. ბანკებმა, „წითელმა ჯვარმა“ და სხვა დაწესებულებებმა დიდძალი ფული შესწირეს.

**რომი.** სტეფანის აუწყებენ, ტრიპოლიში დღეს მშვიდობიანობაა. ქარის გამო მფრინავთ დაზვერვა ვერ მოახერხეს. გემ „ბოსნიით“, რომელიც ბენგაზსა, დემონასა და ტობრუკშიაც იყო, უცხოელთა სამხედრო აგენტები მოვიდნენ. ხსენებულ ქალაქებში მშვიდობიანობაა, ჯარისთვის დიდძალი სურსათია. ნაპირზე ჯარის გადაყვანა გრძელდება.

**ტრიპოლი** (სპეც. კორესპ.). 19 ოქტომბერს ოსმალებმა ოთხი ზარბაზნით სროლა ასტეხეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ჯავშნოსანმა „კარლო ალბერტომ“ შვიდი სროლით ჩააჩუმა ოსმალთა არტილერია. იმ დროსვე უკუ ქცეულ იქმნენ არაბები, რომელიც იტალიელთა პოზიციებს დაეცნენ.

**ლონდონი.** საპარლამენტშორისო კავშირმა გადასწყვიტა, ასკვიტს სთხოვოს ოსმალეთ-იტალიის მორიგება იკისროს.

**ქაირო.** არაბთა გაზეთებმა ოსმალების გამარჯვების ამბავი გამოაქვეყნეს. ალექსანდრიაში 20 ათასმა კაცმა ევროპიელთა საწინააღმდეგო მანიფესტაცია გამართა. დაჭრილია პოლიციელი. დააპატიმრეს 200 არაბი.

**რომი.** სტეფანი აცხადებს, ტყუილია გაზეთების ცნობა, ვითომც ტრიპოლიში იტალიელები სასტიკად იქცეოდნენო. მხოლოდ ის არაბნი დახვრიტეს, ვინც მორჩილების გამოცხადების შემდეგ იტალიელებს იარაღით დაეცნენო. პირიქით, მტერი უფრო სასტიკად ექცეოდა დაჭრილებსაო.

**ტრიპოლი** (საეც. კორესპონდენტისაგან). უკანასკნელად მომხდარ ამბისა და ოაზისის არაბთა დახვრეტის გამო, რომლებშიაც ბავშვები და ქალებიც იყვნენ. ზოგიერთმა უცხოელმა კორესპონდენტმა მიღებული ბილეთი უკან დააბრუნა და მიდის. სიცილიის ჟურნალისტს აპრილას კანევამ 24 საათის განმავლობაში ტრიპოლის დატოვება მოსთხოვა, იტალიელთა ზარალი რათ გააზვიადეო. ტრიპოლიში ხოლერა მძვინვარებს. გვამები ქუჩაში ჰყრია. ჯარშიაც არის ხოლერა. ოფიციალურად ამას არ აცხადებენ. საექსპედიციო კორპუსი ერთი თვეა აქაა და სანაპიროს მეტი არა აულია-რა. თუ ოაზისის არაბებმა მორჩილება არ განაცხადეს, ჯარი იძულებულ იქმნება ტრიპოლის პოზიციაზე მეორე თვეც გაატაროს.

# ჩინეთის რევოლუცია

**დ ე პ ე შ ე ბ ი**
19 ოქტომბერი.

**პეკინი.** მთავრობა თითქმის სულ განახლდა. უმაღლეს ბრძანებით თავადი ცინი, ნატუნი, სუიშიჩანცი, ყველა მინისტრი თხოვნისამებრ გადააყენეს. პირველ მინისტრად იუანშიკაი დანიშნეს. მას ებრძანა, დააჩქარე „მეამბოხეებზე გალაშქრება, დაბრუნდი და ახალი კაბინეთი შეადგინეო. იუანშიკაი უფროსი იქნება ხმელეთისა და საზღვაო ჯარისა, რომელიც ქუბეის გაიგზავნა. თავადი ცინი უმაღლეს საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. იგი იუანშიკაის მოსვლამდე თავის თანამდებობას აასრულებს. იუანშიკაი ახლავე დაიწყებს რევოლუციონერებთან მოლაპარაკებას, ხანკოუში მორიგებით სისხლის ღვრის შეჩერებას.

## გაზეთებიდან

**შეერთებულ შტატების სამზადისი.**

„ნიუ იორკ ჰერალდს“ ვაშინგტონიდან დეპეშითატყობინებენ: შეერთებულ შტატების მთავრობა დიდ მზადებაშია. ეს მზადება რევოლუციონერთა წინააღმდეგ საბრძოლველად კი არა, არამედ იმ შემთხვევისათვის არის, თუ იაპონია ჩინეთის

სით 3 ჟურნალი: ორი ქართული „მოსავალი“ და „კოოპერაცია“ და ერთიც რუსული „ვესტნიკ კოოპერაციი“; ამხანად საზოგადოებას აქვს ცალი რუსული და ცალი ქართული წიგნი. ამას გარდა კავკასიის სააბრეშუმო სადგურმა შემოსწირა ჩვენს საზოგადოებას მეაბრეშუმეობის კოლექცია სკოლებში საჩვენებელი.

5. საბჭომ განიხილა მის მიმართ მომართული თხოვნები ამხანაგობა „ანკარა“-სი, კავკასიის „მეფუტკრეობის საზოგადოებისა“ და სხვ.

6. საბჭო ჰგზავნიდა საგანგებო კომისიებს ზოგიერთი მამულებისა და კულტურული დაწესებულებების დასათვალიერებლად. მაგ. წინამძღვარიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, თავ. კ. მ. ამირაჯიბის მეურნეობა და სკოლა, ატენის მამული ქართველ საქველ-მოქმედო საზოგადოებისა, კ. დ. ყიფიანისა და ჩიქოვანის მამული, მანთაშევის მამულში მოტანილი მოტორიანი გუთანი. ამ უკანასკნელის დასათვალიერებლად საბჭომ გაგზავნა თავის ხარჯით 5 დიღმელი გლეხი. საბჭომ საადგილ მამულო კომისიის წინადადებით და სახსარით გაგზავნა კარაკლისის დროებითი მერძეობის კურსებზე ორი მსმენელი ყმაწვილი: გ. დალაქიშვილი და ალ. კახელაძე. ამის გარდა თავის მიზნის გასახორციელებლად—სოფლად აგრონომიულ მოღვაწეობის მოსაწყობად—მოიწვია ჯერ აგრონომი ე. კარბელაშვილი, რომელსაც დროებით დაეკისრა მდივნობა და შემდეგ კი, პირველ ოქტომბრიდან კიდევ ორი აგრონომი გ. ს. გამხარაშვილი და მ. ს. საყვარელიძე. მათ შორის მუშაობა ასეა განაწილებული: მ. ს. გამხარაშვილს მიენდო მდივნობა საზოგადოებისა და ტფილის-ბორჩალოს მაზრების ინსტრუქტორობა, გ. ე. საყვარელიძეს—კახეთი და ე. ვ. კარბელაშვილს ქართლი.

აგრეთვე მოწვევა აგრონომებისა და სოფლად მუშაობის დაწყობა საზოგადოებას არ შეეძლო, რადგან არ იცოდა თავის სახსარის რაოდენობა. ეს საკითხი გამოირკვა ენკენისთვის მიწურულებში, როდესაც სადეპუტატო საკრებულომ გადასწყვიტა მიეცა ჩვენი საზოგადოებისთვის აგრონომიულ დახმარების მოსაწყობად 5,000 მან.

საბჭოს მიერ მოწვეული აგრონომები ამ ახლო ხანში გავლენ სოფლად, თავის რაიონების გასაცნობად,—მათ ეკონომიურ და ბუნებრივ პირობების გამოსარკვევად. ამის შემდეგომ წარმოუდგენენ საბჭოს თავის მოქმედების პრაქტიკულ გეგმას. ამ გეგმას განიხილავს საბჭო და, მის დამტკიცების შემდეგ, აგრონომი შეუდგება თავის მუშაობას—ხალხში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებას.

საზოგადოებას თავის მოქმედების უახლოეს მიზნად მიაჩნია:

1) აგრონომიული ორგანიზაცია მოგზაურ აგრონომების სახით, გუბერნიის ორს ნაწილში—ქართლსა და კახეთში. შემდეგ ამ ორგანიზაციათა რიცხვი უნდა გამრავლდეს, ასე რომ თვითეული აგრონომი უნდა იყოს დანიშნული თვითეულის მაზრის ოდენა რაიონში.

2) საინსტრუქტორო მოღვაწეობის მოწყობა გუბერნიის მთიან ადგილას, სადაც საქონლის მოშენებას მისდევენ, რაიც უნდა დაეკისროს სარაიონო აგრონომებს და მათს თანაშემწეებს.

3) გუბერნიის რამდენიმე ადგილას მოწყობა დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისა და მუშათა საპრაქტიკო სკოლებისა მუდმივი საცდელი მინდვრით.

4) მთაში ორ-სამ ადგილას საფეიქრო საშინამრეწველო სახელოსნოს მოწყობა.

5) მოწყობა კახეთში მევენახეთა ამხანაგობისა, ხოლო ქართლში (შემდეგ ზაქათალისა და ახალციხის მაზრებში) მეხილეთა ამხანაგობისა.

6). საზოგადოებასთან მანქანაიარაღების და სოფლის მეურნეობაში საჭირო მასალის, გაუმჯობესებულ თესლის, სასუქის და სხვათა საწყობის გამართვა. აგრეთვე მოწყობა საზოგადოებასთან ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების გასაღებისა.—ღვინო, ყველი, პარკი, აბრეშუმი, ნაქსოვი შინამრეწველობისა და სხვა.

7) მეაბრეშუმეთათვის საღი თესლის მიწოდება.

8). მოწყობა საზოგადოებასთან საგანგებო ტეხნიკურ სექციისა, რომელიც დახმარებას გაუწევდა ხალხს სასმელ და სარწყავ წყლის გაყვანაში, მთის მდინარის ნაპირების გამაგრებაში და სხვა.

9). შედგენა და გამოცემა სასოფლო-სამეურნეო საკოოპერაციო ლიტერატურისა, გამოცემა საკუთარ დროგამოშვებით სასოფლო-სამეურნეო ჟურნალისა.

10). გუბერნიის სხვა და სხვა კუთხეებში საზოგადოების განყოფილებათა დაარსება.

11). დახმარების გაწევა ყველა იმ საზოგადოებათა, ამხანაგობათა, დაწესებულებათა და კერძო პირთათვის, რომელნიც საზოგადოებრივ ინტერესებთან შეფარდებულ საქმეებს, აწარმოვებენ ხელმძღვანელობა ამგვარ და საზოგადოდ ყველა კოოპერატიულ ამხანაგობათა.

საქმეებში ჩაერევა. ვაშინგტონი ამის მოლოდინშია.

**ჩ ი ნ ე თ ი.**

ჩინეთის ფინანსთა მინისტრმა განიზრახა სესხი ეძლო, მაგრამ ინგლისის ბანკმა განუცხადა სამხედრო საჭიროებისთვის სესხის მოცემაზე ლაპარაკიც არ შეიძლებაო. პეკინის უცხოელთა ბანკებმა ხუნანის და ხუნანსინის რევოლუციონერთა ჯარის უფროსისაგან ამბავი მიიღეს, რევოლუციონერები უცხოელთა ყოველ სესხს უზრუნველჰყოფენ, გარდა იმისა, რომელიც მთავრობას რევოლუციასთან საბრძოლველად მიეცემაო.

**ევროპიელთა ზარალის საკითხი.**

შანხაიში, თურმე, იქაურ და უცხოელ ვაჭართ კრება ჰქონდათ. ყრილობა შეეხო ჩინეთში ევროპიელთა ახლანდელ მდგომარეობას და იმ აურაცხელ ზარალს, რომელიც რევოლუციამ მიაყენა. ამ ზარალის ანაზღაურებას პეკინის მთავრობისაგან მოითხოვდა, რადგან წესიერების დაცვა ვერ შესძლოო. გადასწყვიტეს ზარალის საკითხი დიპლომატიურის გზით მოაგვარონ. თათ ბირს კონსულებიც დაესწრნენ.

**ვიცე-კოროლის მოკვლა.**

ჩინეთში ხმა გავარდა, სიჩუანის ახალი ვიცე-კოროლი, რომელიც რევოლუციონერებთან მოსალაპარაკებლად მოვიდა, სიჩუანლებმა მოჰკლეს, ხანკოუდან მიღებულ მოწერილობისამებრ. სიჩუანლებმა გამოაცხადეს, შუაგულ რესპუბლიკას ვუერთდებითო.

**ახალი პრეზიდენტის ბრძანება.**

გენერალი ლიუნხუნგი დიდის ამბით შუაგულ რესპუბლიკის პრეზიდენტად გამოაცხადეს. მან გამოაცხადა, რაც ფული მოგროვდება მთლად სარევოლუციოდ უნდა გადაიდვას, ვიდრე მანჯურთა ბატონობას დავამხობთო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს)

18 ოქტომბერი.

**საზღვარ-გარეთ.**

**კანეა.** საერო საკრებულომ 65 ხმით მთავრობის გადაყენება გადასწყვიტა.

**ლონდონი.** სარკინიგზო ამხანაგობანი მოსამსახურეთ უმატებენ. ლონდონის ჩრდილოეთ-დასავლეთის გზის მუშათა წლიურ ჯამაგირს 80 ათასი გირვანქა მოუმატა მუშათა მოძრაობა არა სცხრება.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. გრეი შემკითხველებს უპასუხებს, სპარსეთში ჯარი ინგლისის ქვეშევრდომთა უზრუნველსაყოფელად გავგზავნეთო. თუ საქმე მოგვარდება, ჯარს დავაბრუნებენ. სპარსეთმა პროტესტი განაცხადა და ითხოვა, ჯარს ნუ გააძლიერებთო. ინგლისმა უარი უთხრა. რუსეთმაც გაგზავნა ერთგან 100, მეორეგან 200-მდე კაცი.

**ლონდონი.** გრეიმ გამოაქვეყნა, რომ ინგლისმა გერმანიასა, დანიასა, კოლუმბიასა, მექსიკასა, მაროკოსა, ნორვეგიასა, რუსეთსა, საფრანგეთსა, შვეციასა და შვეიცარიასთან მოლაპარაკება დაიწყო, რომ ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულება ნებაყოფლობით შეწყვიტოს და ახალი ხელშეკრულებანი დადოს, რომ ინგლისის სამფლობელოებს სავაჭრო უფლება ჰქონდეთ ბრიტანიის სავაჭრო ხელშეკრულებანი უარჰყონ.

**ვენა.** ეხლა გამოირკვა, რომ სამინისტროს კრიზისი კაბინეტის გადადგომით გადასწყდა. „ფრემდენბლატი“ ამბობს, კაბინეტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, რადგან იმედი არა ჰქონდა პარლამენტში უმრავლესობა მოეპოვებინაო. „ნ. ფრეი-პრესე“ ამტკიცებს, ჩეხელებისადმი კაბინეტის თანაგრძნობა პოლონელებს და გერმანელებს არ მოსწონდათ, რაც მიზეზია კაბინეტის დაცემისაო.

**ლასპალმასი.** 17 ოქტომბერს გემი „ლიბერტია“ და „ჯოლიბი“ ერთმანეთს დაეჯახა. „ჯოლიბი“ ჩაიძირა. სამი მგზავრი და 22 მეზღვაური დაიღუპა.

**თეირანი.** თავრიზიდან ძალიან აშფოთებელი ამბავი მოდის, ამიტომ აზერბეიჯანის მცხოვრებლებმა თავრიზში მთავრობას გუბერნატორის სწრაფად დანიშვნა მოსთხოვეს. დანიშნეს შრინცე ფერმან-ფერმა და უბრძანეს თავრიზს სწრაფად გაემართოს.

**მადრიდი.** სარწმუნო წყაროდან იტყობინებიან, ტეტუანის, ვითომც ესპანიის ჯარს არსად აედოსო. ესპანია ახალ მიწა-წყლის შეძენას სრულიად არა ფიქრობსო.

**ტეგუსიგალპა.** ბონილია გონდურასის პრეზიდენტად დაინიშნა და სამსახურს 1912 წლ. გაზაფხულს შეუდგება.

**რ უ ს ე თ ი**

**ტერიოკი.** კუვენცის სასამართლომ ჩინელ ცზინხაოს მკვლელები ქალი გან იუ გაამართლა.

# თეატრი და ხელოვნება

**სოხუმი.** შაბათს, 15 ოქტომბერს, სამურიდის თეატრში ქართულმა დრამატიულმა წრემ, ბ. შალვა დადიანის ხელმძღვანელობით და ქ. ელენე ანდრონიკაშვილის მონაწილეობით სეზონის გასახსნელად დასდგა ა. ცაგარლის ისტორიული პიესა „ლეკის ქალი გულჯავარ“ და ახოსპირელის „გეურქ-ალა და შანტაჟისტები“. ყველამ იცის, რომ „გულჯავარ“ დრომოჭმული პიესაა. ამისდა მიუხედავად პიესამ მეტად კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც ძლიერ კმაყოფილი დარჩა. პიესის ყოველივე ნაკლი შეავსო კარგმა თამაშმა ეს მით უმეტეს სასიამოვნოა, რომ მოთამაშეთაგან გარდა ქ. ე. ა—ლი და ბ. ბ. შ. დ—ნისა ყველა ადგილობრივ სცენის მოყვარენი იყვნენ. ძლიერ კარგად შეასრულა „გულჯავარის“ როლი **ქ. ე. ანდრონიკაშვილმა**, მისმა თამაშმა ხალხი აღტაცებაში მოიყვანა **ქ. ვ. კუხალეიშვილიც** კარგი იყო ფატმანის როლში, მხოლოთ ცოტა ჩქარობდა. ბ-ნ დადიანმა პირდაპირ განახორციელა ცაგარელის პიესის უმთავრესი გმირი ლევანი. მან მეორე მოქმედების ის ადგილი, სადაც სულიერ ტანჯვას განიცდის, და ვერ გადუწყვეტია ირაკლის მოკვლა, იმდენად გრძნობიერად ჩაატარა, რომ საზოგადოებაში ქვითინი გამოიწვია. კარგი იყო ბ-ნი **გ. ერქომაიშვილი** რამაზის როლში. ბ-ნი **კობახიძე** (ირაკლის სახლთ-უხუცესი) **ბახგიხპარელი** (რევაზი) და ბ. **გ. კოზმავა** (ირაკლი) ხელს უწყობდნენ წარმოდგენის მწყობრად ჩატარებას.

ბოლოს ითამაშეს ბ. ახოსპირელის „გეურქ-ალა და შანტაჟისტები“. ამ უკანასკნელმაც კარგად ჩაიარა; განსაკუთრებით კარგები იყვნენ ბ-ნი **ა. ხახაძე** (გეურქ-ალა) და ბ-ნი **ხ. ფრანგულიანცა** (აკოფა). უნდა აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროთ ამ ვოდევილმა დამსწრეთა ერთ ჯგუფში უკმაყოფილება გამოიწვია; ვითომდა ამით, ჩვენ სომხები, ვილანძღებითო. ერთმა მათგანმა კიდეც დაიძახა: „შეცდომააო“. მეორე დღეს მოწინავე ელემენტებმაც კი უკან დააბრუნეს აბონემენტის ბილეთები, „ჩვენ გვლანძლავენ და როგორღა მოვალთო“.

ნუ თუ ამაზე შორს წავა გაუგებრობა?..

წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო, რაც მეტად სამწუხაროა; სამწუხაროა, რომ სოხუმის ქართველი საზოგადოება ასე გულცივად შეხვდა პირველ სეზონის პირველ წარმოდგენას.

შაბათს 22-ს ოქტომბერს წარმოადგენენ ერისთავის 3-მ მოქმ. დრამას— „ბრძყალებში“. **ი. ჩხოტელ-.**

# შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მოვახსენო იმ პირთ, რომელთაც **ბაგრატის ტაძრის** გალავნის ასაგებად თავისი წვლილი არ დაიშურეს. აი მათი სია:

დავით ეპისკოპოსმა შემოსწირა **ერთი თუმანი**; კნ. ნინო მერაბის ასულმა თავდგირიძისამ, ალ. თევდ. ყიფშიძემ და ლუარსაბ ბოცვაძემ— **თო თორი მანათი**; ხოლო დეკან. ნიკიტა თალაქვაძემ, დეკან. კალ. ცინცაძემ, მღვდ. დიმიტრი ლაზარიშვილმა, ნიკოლოზ დიმ. მახათაძემ, მოსე ჯანაშვილმა, დეკან. კორნ. კეკელიძემ, გიორგი ტატიშვილმა, მღვდ. ქრისტ. ციცქიშვილმა, ლიუბოვ ეგაძისამ, ნინო და ევგენია ეგაძეებისამ (ორივემ ერთათ) ნათელა ღუდაბრიშვილისამ, ალ. ბეს. მდივანმა, დავ. გ. კარიჭაშვილმა, ფილიპე გოგიჩაიშვილმა და შალვა მიქელაძემ—**თითო მანეთი**.

შემოწირულება დანიშნულებისამებრ გადგზავნე ტაძრის გალავნის განმაახლებელს კომიტეტს; მასვე გადვგზავნა შემომწირველთა სიის დედანიც. **ს. რ. გორგაძე.**

# წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ,

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ ჩემს პატარა წერილს თქვენს პატივცემულ „სახალხო გაზეთში“. წარსულ 1910 წ. დეკემბრის 30, დეკანოზ დ. ღამბაშიძის დასაფლავების დღეს, მე დავიტოვე სიტყვები წარმოთქმული მ. ღამბაშიძის ცხედართან ყვირილის ეკლესიაში და რამდენიმე დღის შემდეგ გადავეცი ვახტანგ ღამბაშიძეს. მე კი დაინტერესებული პირნი და ზოგიც ავტორები ზემოხსენებულის სიტყვებისა მეკითხებიან, რა მოუვიდა ამ სიტყვებსაო? და რაც უფრო საკვირველია ჩემთვის, ზოგიერთნი მაბრალებენ თითქო მე ვიყო დამნაშავე მათ გამოუქვეყნებლობაში. ამისათვის იძულებული გავხდი დაინტერესებულ პირთათვის მეუწყებია შემდეგი ჩემი ნათქვამი.

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი **მღ. კ. ანთაძე.**

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადაუხადო ღრმად პატივცემულ ბ-ნ იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელს შემოსწირა ათი ცალი ბუნების კარი და 15 ცალი „რუსსკოე სლოვო“-ს მეორე ნაწილი.

ქვემო-ხვითის მასწავლებელი **ნ. უნდილაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ჩემს წერილს, რათა ამით საშუალება მომეცეს თავი ვიმართლო ბატონ კორესპონდენტის „ძველი გავაზელის“ ცილის წამებისაგან, რომელიც მოთავსებული იყო თქვენ პატივცემულ „სახალხო გაზეთში“ (№ 348). ბატონი კორესპონდენტი ბრალს მდებს, ვითომც მე და ბევრი ჩემი მომხრენი ვცდილობდეთ დავიბრუნოთ უკან ამა საზოგადოების მიერ გაძევებული პირები საბა დავითაშვილი და ივანე ხარდიაშვილი, (საბას შესახებ არაფერს ვიტყვი, რადგან იგი დიდი ხანია რაც მოკვდა) ეს მართალი არ არის. დასამტკიცებლად ისიცა კმარა, რომ მე არა ერთხელ მომცეს წინადადება, რომ შემომეწმებინა მათი ყალბი განაჩენები, რის გულისათვისაც ბლომა ფულებსაც იძლეოდნენ, მაგრამ მე, როგორც ჩემი საზოგადოებისაგან არჩეული, ვალდებული ვარ ვემსახურო ამომრჩევლების ინტერესებს, თუ კი ზემოხსენებული პირების დაბრუნება სასურველი იქნებოდა მთელი საზოგადოებისათვის, უფლება მექნებოდა უარი გამეცხადებინა? მაგრამ საზოგადოებას ვისიმე ჩაგონებით კი არ გადაუწყვეტია საბა დავითაშვილი და ივანე ხარდიაშვილი, არამედ მათი გადასახლება საზოგადოების სურვილი იყო.

ჩემი მიზანია, კულტურულ დაწესებულებების ზრდა განვითარება საზოგადოებაში და დავითაშვილ-ხარდიაშვილებთან მე არავითარი საქმე არა მაქვს. ღმერთმა დამიფაროს!

ძველ-გავაზის მამასახლისი დავით ხუციშვილი.

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა ზამთრობით.**

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

15 ოქტომბრიდან

**ტფილისიდან გადის:**

**ბათუმისაკენ:** 1) სახალხ. მატ. № 7, II—III კლ. გადის საღ. 9 ს. 40 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 2 ს. 10 წ., რიონში დილ. 6 ს. 54 წ., ბათუმში შუადღ. 12 ს. 44 წ.

2) სახალხო მატარ. N 5. II—III კლას. გადის საღ. 6 ს. 30 წ., გორში ჩადის 8 ს. 26 წ., მიხაილოვში 10 ს. 58 წ. რიონში 12 ს. 55 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 28 წ.

3) საფოსტო მატ. N 3, I—III კლ. გადის დილ. 8 ს. 52 წ., გორში 11 ს. 29 წ., მიხაილოვში 12 ს. 58 წ., რიონში საღ. 5 ს. 19 წ., ბათუმში ღამ. 10 ს. 15 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატარ. N 2, I—III კლ. დილ. 9 ს. 22 წ., განჯაში ნაშუადღ. 2 ს. 0 წ., ბალაჯარამი საღ. 10 ს. 18 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 45 წ.

2) სახალხო მატ. № 6, I—II კლას. ნაშუადღ. 2 ს. 40 წ., განჯაში საღ. 8 ს. 48 წ., ბალაჯარამში დილ. 6. 36 წ., ბაქოში დილის 7 ს. 13 წ.

3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 10 ს. 20 წ., განჯაში დილ. 4 ს. 31 წ., ბალაჯარამში ნაშუადღ. 2 ს. 32 წ., ბაქოში ნაშუადღ. 3 ს. 54 წ.

4) **შერეული მატ.** № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 34 წ., განჯაში ნაშუადღ. 1 ს. 59 წ., ბალაჯარამში დილ. 5 ს., ბაქოში დილის 6 ს. 14 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სახალხო მატარებ. N 9/66, I—III კლ. ნაშუადღ. 2 ს. 25 წ., ბორჯომში ჩადის საღ. 8 ს. 4 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

სახალხო მატარ. N 74/75, I—III კლას. საღ. 10 ს. 50 წ. ჯულფას ჩადის მეორე დღეს საღამოს 10 ს. 12 წ.

2) სახალხო და საქონელ. N 78—79, II—III კლ. ნაშუადღ. 4 ს. 36 წ., ერევანში ჩადის დილის 10 ს. წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან:** სახალხო N 6, I—III კლას ნაშუადღ. 1 ს. 52 წ., საფოსტო N 4, დილ. 9 ს. 30 წ. სახალხო N 8,—ნაშუადღ. 4 ს 35 წ.

**ბაქოდან:** სახალხო N 5. ნაშუად. 4 ს. 9 წ. საფოსტო N 3.—დილ. 7 ს. 56 წ. ჩქარი მატარ. N 1.—საღ. 8 ს. 58 წ.

**ერევნიდან:** საფ. N 72—73,—დილის 7 ს. 27 წ.

**ერევნიდან:** საბარგო და სახალხო N 80 81—შუადღის 12 ს. 42 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებლებს მისდევს, ზოლო კავკასის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სახალხო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სახალხ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

**ვინ როდის იღებს მთხოვნელებს**

**ნამესტნიკი** ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, საბა ხლეში, ზოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა** სამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სახაზ. სახლ.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში** ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ზოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

**ეგზარხოსი**—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (ეგზარხოსის მოედანი).

**ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი**—ორშაბათობით ნაშუადღევს 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

**კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი**—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (სახაზლის ქუჩაზე).

**ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი** ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

**ტფილისის გუბერნატორი** — ყოველ დღე ნაშუადღევს 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. კიდში).

**კავკასიის მიწადმოქმედებისა და მიწად მოწყობის მთავარი რწმუნებული**—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ საათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩ. N 9).

**კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

**ნ ი ხ რ ი**

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლეებთან მოურიგებლად).

1. ქალაქში ერთ ადგილამდე . . . 40 კ.
2. ქალაქიდან განაპირაუბნე ნავთლუხი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან 70 „
3. ვაგზლიდან ქალაქში . . . . 70 „
4. ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ. —
5. ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში 40 „
6. ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სახაფლაოებამდე . . . . 50 „
7. მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან . 80 „
8. ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში . . . . 50 „
9. ფუნიკულერის სადგურამდე . 50 „
10. იქიდან უკან დაბრუნება . . . 40 „


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღდისი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმანი:** 12 ნახ. —1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ავასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

**ქალ.-ექ. ბ. ს. ზილბერმანი:** 6 ნ.ს.- ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინ. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ. (1168—161)

## № 4711

## საქელი პუდრი

კანს ხავერდისავით ანაზებს და ალამაზებს

**ფერდ. მიულგენსი** პარფიუმერია N 4711

**კოლონში** 25 კაპ. — მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.




(9—1538—1)

**ა გ ე ნ ტ ი**

## მ. ა. გაჩონია

იღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ ისე სატახტო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ აგენტათაა ლ. ე მეტცლისა და ამხ. და სააქციონერო საზოგ. „ანონსისა“ რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკატების გაკვრის საქმეში.

**მისამართი:** ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი“, კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე. ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

„ს პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია“

1860 წ. დაარსებული.

**ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.**

## საპონი „გაზლილ ია“.




გლიცერინის საპონი „გაზლილი ია“ ახალმოგლეჯილ იის სუნის სრულ შთაბეჭდილებას აძლევს: აქვს უხვად გამაგრილებელი ქაფი და კანსაც სინაზეს აძლევს.

მთავარი საწყობი: ტფილისი, საადგილიქოს საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (13—1293—5)

## გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის სარისხზე**. **ყველა კლასის ჩინისთვის.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ **ხარჯზედაც, პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, (около памятн. Воронцову), спросить учителя. (ω. 1084.1)

# მზარეულობის პრაქტიკული სკოლა

## ე. ნ. მისტროვისა,

(გრიბოედოვის ქუჩა N 9, სამუსიკო სასწავლებლის პირდაპირ).

**სადილი** 30 კ.— 60 კ.-მდე საუზმე, პირაშკა და სხვა და სხვა საჭმელები მზადდება აგრეთვე შეკვეთით.

**სასწავლებელში** მიიღება მოწაფეები ყოველ დღე. (ო —868.6)

15 ოქტომბრიდან დაიწყება ყოველდღიური

# ავტომობილებით მიმოსვლა

## ტფილისსა და სიღნაღს შუა

როგორც ტფილისიდან, ისე სიღნაღიდან ავტომობილი დილის 8 საათზე გავა. ბილეთები **სიღნაღში** საფოსტო სადგურზე იყიდება. **ტფილისში**—„სევერნი ნომრებში“, ჩილინგაროვისა და ავლაბარის სადილიჯნო კანტორებში. ავტომობილები „სევერნი ნომრებიდან“ გავა. **ბილეთის ფასი 5 მანეთია.** (10—1541—6)

Тво

# „ПРОВОДНИКЪ“

## ГАЛОШИ



НАИЛУЧШІЯ ВЪ МІРѢ

ПОЛНАЯ ГАРАНТІЯ ЗА ВЫСШУЮ ПРОЧНОСТЬ и ДОБРОКАЧЕСТВЕННОСТЬ КАЖДОЙ ПАРЫ

ГОДОВОЙ ОБОРОТЪ

35,000,000 РУБ.

(40—1528—7)

## ШИНЫ



АВТОМОБИЛЬНЫЯ ВЕЛОСИПЕДНЫЯ ЭКИПАЖНЫЯ

БЕЗСПОРНО САМЫЯ ЛУЧШІЯ ВЪ МІРѢ

ПРОИЗВОДСТВО ВСѢХЪ РЕЗИНОВЫХЪ ИЗДѢЛІЙ, ЛИНОЛЕУМА и АСБЕСТА.

СКЛАДЫ и МАГАЗИНЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ

# გამოვიდა და იყიდება

## თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა: წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, ფ. 75 კ.

„ „ წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა“. . . ფ. 80 კ.

„ „ წ. III. „ნააზრევი“ . . . . . . . . ფ. 65 კ.

Bâton-ისა: „ერი და კაცობრიობა“ . . . . . ფ. 1 მ. 20 კ.

ვ. ყიფიანისა: «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა ფ. 40 კ.

ნ. შიუკაშვილისა: «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . . ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.


სტამბა „სორაპანი“, მიხაილოვის ქუჩა

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კუჭუხიძე